

# სანიმუშო საგამოცდო კითხვები

## ნაწილი 1 – მრავალპარიანტიანი კითხვები

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ორი ხარჯი კაპიტალიზდება მანქანა-დანადგარის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაში?

- (1) მანქანა-დანადგარის ქარხანაში ტრანსპორტირების დანახარჯი.
- (2) მანქანა-დანადგარის გამოყენებისათვის საჭირო ახალი ელექტროგაყვანილობის მონტაჟი.
- (3) სამწლიანი ტექნომსახურების შეთანხმების ღირებულება.
- (4) მანქანა-დანადგარის მართვის შესწავლის მიზნით, თანამშრომლებისთვის ჩატარებული სამკვირიანი ტრენინგის კურსის ღირებულება.

ა მხოლოდ (1) და (3)

ბ მხოლოდ (1) და (2)

გ მხოლოდ (2) და (4)

დ მხოლოდ (3) და (4)

2. როდესაც მშობელი საწარმო აფასებს პოტენციური შვილობილი საწარმოს აქტივებს, შესაძლებელია გარკვეული არამატერიალური აქტივების აღიარება გუდვილისგან განცალკევებულად, თუნდაც ისინი არ იყოს აღიარებული შვილობილის საკუთარ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია შვილობილი საწარმოს არამატერიალური აქტივის მაგალითი, რომლის აღიარება გუდვილისგან განცალკევებით შესაძლებელია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში?

ა ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც შვილობილმა საწარმომ სწორად ასახა მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ხარჯებში, მაგრამ მშობელი საწარმოს ღირებულებებმა საიმედოდ შეაფასეს, რომ მას აქვს მნიშვნელოვანი რეალური ღირებულება.

ბ მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული სარეკლამო კამპანია, რომელიც დასრულდა წინა ფინანსურ წელს და რომლისგანაც მომავალში მოელიან სარგებლის მიღებას.

გ შვილობილი საწარმოს პირობითი აქტივი, საიდანაც მშობელი საწარმო მიიჩნევს, რომ მომავალში მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

დ მომხმარებელთა სია, რომლის ღირებულებას ღირებულებები საიმედოდ ვერ აფასებენ.

3. 20X4 წლის 1 ოქტომბერს „ფრესკომ“ 5-წლიანი იჯარით შეიძინა მანქანა-დანადგარი. მანქანა-დანადგარის შეძენის ფასია \$25 მილიონი. იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთია 10%, საჭიროა \$2 მილიონი ოდენობის დეპოზიტის დაუყოვნებლივ გადახდა,

წლიური საიჯარო ქირა შეადგენს \$6 მილიონს, რომელიც საწარმო გადაიხდის ხუთი წლის განმავლობაში, ყოველ წელს 30 სექტემბერს.

რა თანხით აისახება იჯარით აღებული მანქანა-დანადგარის მიმდინარე ვალდებულება „ფრესკოს“ 20X5 წლის 30 სექტემბერს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?

- ა \$19,300,000
- ბ \$4,070,000
- გ \$5,000,000
- დ \$3,850,000

4. ფინანსურ ანგარიშგებაში სამეურნეო ოპერაციების წარდგენა ხდება ციფრებისა და სიტყვების სახით. იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, მან ანგარიშგებაში სამართლიანად უნდა წარმოადგინოს სამეურნეო ოპერაციები.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა არის სამართლიანი წარდგენის მაგალითი?

- ა საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების კაპიტალიზაცია, არამატერიალური აქტივის სახით.
- ბ კონვერტირებადი ობლიგაციების ასახვა კაპიტალის ნაწილში იმის საფუძველზე, რომ, სავარაუდოდ, ობლიგაციების მფლობელები კონვერტაციის დროს აირჩევენ კაპიტალის ოფციონს.
- გ გამოსყიდვადი პრივილეგიური აქციების ასახვა კაპიტალის ნაწილში.
- დ ფაქტორინგით გადაცემული მოთხოვნების აღიარების გაგრძელება, მოთხოვნების რეგრესის უფლებით გაყიდვის შემთხვევაში.

5. 20X4 წლის 1 ოქტომბერს „კალატრამ“ დაიწყო ზღვაში ნავთობის მოპოვება. ხუთ-წლიანი ლიცენზიის ვადის დამთავრების შემდეგ, „კალატრამ“ უნდა განახორციელოს საბურღე მოწყობილობების დემონტაჟი, რომლის 20X8 წლის 30 სექტემბერს შეფასებული დანახარჯი შეადგენს \$30 მილიონს. „კალატრას“ კაპიტალის ღირებულებაა წლიური 8% და ხუთი წლის შემდეგ \$1-ის დღევანდელი ღირებულებაა 68 ცენტი.

მოცემული ნავთობის ოპერაციასთან დაკავშირებით, რა ოდენობის ანარიცხი უნდა ასახოს „კალატრამ“ ფინანსურ ანგარიშგებაში 20X5 წლის 30 სექტემბერს?

- ა \$32,400,000
- ბ \$22,032,000
- გ \$20,400,000
- დ \$1,632,000

6. როდესაც საწარმო ახორციელებს შესყიდვას ან გაყიდვას უცხოურ ვალუტაში, საჭიროა ოპერაციის გადაანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში, სანამ მოხდება ოპერაციის ასახვა ფინანსურ ჩანაწერებში.

ბასს 21-ის – „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ – მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი უცხოური ვალუტის კურსის გამოყენებაა შესაძლებელი უცხოურ ვალუტაში განხორციელებული შესყიდვის ან გაყიდვის გადაანგარიშების დროს?

- (1) შესყიდვის ან გაყიდვის განხორციელების დღის გაცვლითი კურსი.
- (2) საანგარიშგებო პერიოდის საწყისი გაცვლითი კურსი.
- (3) საშუალო გაცვლითი კურსი, თუ პერიოდის განმავლობაში გაცვლით კურსს საგრძნობი მერყეობა არ განუცდია.
- (4) საანგარიშგებო პერიოდის საწყისი გაცვლითი კურსი.

ა მხოლოდ (2) და (4)

ბ მხოლოდ (1)

გ მხოლოდ (3)

დ მხოლოდ (1) და (3)

7. კომპანია „კორალის“ 20X4 წ. 1 ოქტომბერს გამოშვებული ჰქონდა \$2.5 მილიონი სააქციო კაპიტალი (თითო 50-ცენტრიანი აქცია).

20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს არ მოხდა ახალი აქციების გამოშვება, მაგრამ საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას გამოშვებული ჰქონდა აქციების ოფციონები, რომლებსაც ეკვივალენტური 1.2 მილიონი უფასოდ გამოშვებული აქციის გაზავების ეფექტი ჰქონდა.

კომპანია „კორალის“ 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგება დაბეგერის შემდეგ არის \$1,550,000.

ბასს 33-ის – „შემოსავალი აქციაზე“ – მიხედვით, რამდენია კომპანიის 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის გაზავებული შემოსავალი აქციაზე?

ა \$0.25

ბ \$0.41

გ \$0.31

დ \$0.42

8. კომპანია „ფორკი“ ფლობს კომპანია „სპუნის“ სააქციო კაპიტალის 80%-ს, რომელიც შექმნილია რამდენიმე წლის წინ. გუდვილი შექმნის თარიღისათვის შეფასებულია \$1,674,000-ად და შექმნის თარიღის შემდეგ გუდვილი არ გაუფასურებულა.

20X4 წლის 30 სექტემბერს კომპანია „ფორკმა“ გაყიდა კომპანია „სპუნის“ მთლიანი ინვესტიცია. ქვემოთ მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია გაყიდვის შესახებ:

	\$000
„სპუნის“ მთლიანი ინვესტიციის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,580
„სპუნის“ მთლიანი ინვესტიციის ღირებულება	3,720

უშუალოდ გაყიდვის წინ, „ფორკის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სპუნთან“ დაკავშირებით ასახული იყო შემდეგი თანხები:

\$000

წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება (გუდვილის გარეშე)	4,464
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	900

რა ოდენობის მოგება ან ზარალი ინვესტიციის გაყიდვიდან (დაბეგვრამდე) აისახება კომპანია „ფორკის“ კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 20X4 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს?

- ა \$1,860,000 მოგება
- ბ \$2,016,000 მოგება
- გ \$342,000 მოგება
- დ \$558,000 ზარალი

9. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ეფუძნება იმას, რომ ჯგუფში შემავალი კომპანიები განიხილება, როგორც ერთი ეკონომიკური ერთეული.

**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების მოთხოვნები?**

- (1) ყველა შვილობილმა საწარმომ უნდა გამოიყენოს მშობელი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.
- (2) შვილობილი საწარმო, რომლის საქმიანობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენი ჯგუფის წევრის საქმიანობიდან, არ უნდა იყოს კონსოლიდირებული.
- (3) შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა აისახოს რეალური ღირებულებით.
- (4) ჯგუფის არარეალიზებული მოგება უნდა ელიმინირდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

- ა მხოლოდ (1) და (3)
- ბ მხოლოდ (2) და (4)
- გ მხოლოდ (3) და (4)
- დ მხოლოდ (1) და (2)

10. ფინანსური წლის განმავლობაში მშობელი საწარმო საქონელს ყიდის თავის შვილობილ საწარმოზე, რომელშიც ფლობს 80%-იან წილს, საანგარიშგებო თარიღისათვის საქონლის ნაწილი დარჩა მარაგში.

**რა კორექტირების გატარების გაკეთებაა საჭირო კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, არარეალიზებული მოგების ელიმინირებისათვის?**

- ა დებეტი                      ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება  
კრედიტი                      მარაგი
- ბ დებეტი                      ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება  
დებეტი                      არამაკონტროლებელი წილი  
კრედიტი                      მარაგი
- გ დებეტი                      მარაგი

რ	კრედიტი	ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება
	დებიტი	მარაგი
	კრედიტი	ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება
	კრედიტი	არამაკონტროლებელი წილი

11. 20X4 წლის 1 ოქტომბერს „კედიმ“ შეიძინა „ამბელის“ მთლიანი 800,000 სააქციო კაპიტალის 240,000 აქცია, თითო აქცია \$6-ად. 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს „ამბელის“ მოგება დაბეგვრის შემდეგ იყო \$400,000 და 20X5 წლის 20 სექტემბერს მან გადაიხადა \$150,000 დივიდენდი.

იმ დაშვებით, რომ „ამბელი“ „კედის“ მეკავშირე საწარმოა, რამდენია საბალანსო ღირებულება „ამბელში“ ინვესტიციის „კედის“ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 20X5 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით?

- ა \$1,560,000
- ბ \$1,395,000
- გ \$1,515,000
- დ \$1,690,000

12. კომპანია „ქარტილი“ ყიდის საიუველირო ნაწარმს, საცალო მაღაზიების მეშვეობით. აღნიშნული საქმიანობა გამოირჩევა მაღალი სეზონურობით. 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს „ქარტილმა“ შეაფასა თავისი საოპერაციო საქმიანობა, შერჩეული საბუღალტრო კოეფიციენტების შედარებით დარგის საშუალო მაჩვენებლებთან, რომლებიც სააგენტომ მიაწოდა. მიჩნეულია, რომ სააგენტოს მიერ გამოთვლილი დარგის საშუალო კოეფიციენტები სწორად ასახავს „ქარტილის“ დარგს.

ქვემოთ ჩამოთვლილმა რომელმა გარემოებამ შესაძლოა დაამახინჯოს „ქარტილის“ კოეფიციენტების შედარება დარგის საშუალო მაჩვენებლებთან?

- (1) მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შესყიდვების ხარჯები.
- (2) დარგის საშუალო მაჩვენებლები გამოთვლილია, იმ კომპანიების მონაცემების საფუძველზე, რომელთა საანგარიშგებო თარიღი იყო 20X5 წლის 1 ივლისიდან 20X5 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
- (3) „ქარტილი“ არ ასრულებს ქონების გადაფასებას, მაგრამ ზუსტად იცის, რომ დარგის ზოგი კომპანია ამას აკეთებს.
- (4) წლის განმავლობაში „ქარტილმა“ აღმოაჩინა შეცდომა, რომელიც ეხებოდა 20X4 წლის 30 სექტემბერს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. შეცდომა გასწორებულია 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

- ა მხოლოდ (1) და (3)
- ბ მხოლოდ (2) და (4)
- გ მხოლოდ (2) და (3)
- დ მხოლოდ (1) და (4)

13. ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტიკული მოსაზრებებიდან, ფასების ზრდის პერიოდში პირველადი ღირებულების აღრიცხვის მეთოდის შესახებ, რომელი არ არის სწორი?

- ა რთულია მისი შემოწმება, ვინაიდან ოპერაცია მოხდა მრავალი წლის წინ.
- ბ სხვადასხვა მუხლს სხვადასხვა ღირებულება აქვს, ზოგი ასახულია მიმდინარე ღირებულებით, ზოგი კი – მოძველებული ღირებულებით.
- გ აქტივები შეფასებულია ნაკლები ღირებულებით, მოგება კი – გაზრდილი ღირებულებით.
- დ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ლევერიჯი ასახულია გაზრდილი ღირებულებით.

14. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ამოღებულია ან გამოთვლილია „ფოვლერის“ 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე:

20X5 წლის 30 სექტემბერს ფულადი სახსრების ციკლი	70 დღე
მარაგის ბრუნვა	6-ჯერ
კრედიტორული დავალიანების ნაშთი 20X5 წლის 30 სექტემბერს	\$230,000
20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის შესყიდვები კრედიტით	\$2 მილიონი
20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	\$1.8 მილიონი

რამდენია „ფოვლერის“ დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი 20X5 წლის 30 სექტემბერს?

- ა 106 დღე
- ბ 89 დღე
- გ 56 დღე
- დ 51 დღე

15. 20X4 წლის 1 ოქტომბერს „პირამიდმა“ შეიძინა „სკვერის“ მთლიანი 9 მილიონი სააქციო კაპიტალის 80%. შეძენის თარიღისათვის ერთ-ერთი მანქანა-დანადგარის რეალური ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე \$3 მილიონით მეტი იყო. შეძენის თარიღისათვის მანქანა-დანადგარს ხუთი წელი ჰქონდა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა. „პირამიდას“ პოლიტიკა არამაკონტროლებელი წილის ღირებულების შეფასებას ითვალისწინებს შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით. მიჩნეულია, რომ ამ მიზნისთვის შესაფერისი იქნება „სკვერის“ ერთი აქციის ფასი \$3.50. 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს კომპანია „სკვერის“ მოგება იყო \$8 მილიონი.

რა ოდენობით აისახება „სკვერის“ არამაკონტროლებელი წილი „პირამიდას“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 20X5 წლის 30 სექტემბერს?

- ა \$26,680,000
- ბ \$7,900,000
- გ \$7,780,000
- დ \$12,220,000

## ნაწილი ბ – სცენარზე დაფუძნებული მრავალვარიანტიანი კითხვები

შემდეგი სცენარი ეხება მე-16 – მე-20 კითხვებს.

კომპანია „ტელეპატის“ საანგარიშგებო თარიღია 30 სექტემბერი. იგი ფლობს მანქანა-დანადგარს, რომელსაც იყენებს წამლების წარმოებასა და შესაფუთად. 20X0 წლის 1 ოქტომბერს მანქანა-დანადგარის თვითღირებულება იყო \$750,000 და ამ თარიღისათვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა იყო ხუთი წელი. 20X3 წლის 1 აპრილს ჩატარდა მანქანა-დანადგარის დათვალიერება, რომლის დროს დადგინდა, რომ მანქანა-დანადგარი იმუშავებს კიდევ სამ ნახევარ წელს და მისი რეალური ღირებულება 20X3 წლის 1 აპრილსათვის იყო \$560,000.

კომპანია „ტელეპატის“ სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს გრძელვადიანი აქტივების გადაფასებას რეალურ ღირებულებამდე, მაგრამ არ აკეთებს გადაფასების რეზერვიდან თანხების ყოველწლიურ გადატანას, გაუნაწილებელ მოგებაში გადაფასების ნამეტის რეალიზებასთან დაკავშირებით.

20X3 წლის 30 სექტემბერს მსხვილმა მომხმარებელმა კომპანია „ტელეპატის“ აცნობა, ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ. შედეგად, „ტელეპატმა“ გადახედა მომავალი სამი წლის მანქანა-დანადგარის წმინდა ფულადი ნაკადების პროგნოზი:

**30 სექტემბერს დამთავრებული წელი:**

	\$
20X4	220,000
20X5	180,000
20X6	200,000

„ტელეპატის“ კაპიტალის ღირებულებაა 10%. ქვემოთ მოცემულია დისკონტირების განაკვეთები:

**\$1-ის ღირებულება 30 სექტემბერს:**

20X4	0.91
20X5	0.83
20X6	0.75

კომპანია „ტელეპატი“ ასევე ფლობს კომპანია „რილდას“ 100% შვილობილ საწარმოს, რომელიც ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულია. 20X3 წლის 30 სექტემბერს „რილდას“ აქტივები \$3,500,000-ით გაუფასურდა. კომპანია „რილდას“ აქტივების საბალანსო ღირებულება უშუალოდ გაუფასურების თარიღამდე იყო:

	\$
გუდვილი	2,000,000
ქარხნის შენობა	4,000,000
მანქანა-დანადგარი	3,500,000
დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები	2,500,000

(ანაზღაურებადი ღირებულებით)

12,000,000

16. ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ – მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ხსნის, რა არის აქტივების გაუფასურება და როგორ უნდა დაითვალოს ანაზღაურებადი ღირებულება?

- ა აქტივი გაუფასურებულია, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე, ხოლო ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.
- ბ აქტივი გაუფასურებულია, თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე, ხოლო ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უმცირესი.
- გ აქტივი გაუფასურებულია, თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე, ხოლო ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.
- დ აქტივი გაუფასურებულია, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე, ხოლო ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უმცირესი.

17. გაუფასურების გათვალისწინებამდე, რამდენია კომპანია „ტელეპატის“ მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულება და ნაშთი გადაფასების რეზერვზე 20X3 წლის 30 სექტემბრისათვის?

	მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულება \$000	გადაფასების რეზერვი \$000
ა	480	ნული
ბ	300	185
გ	480	185
დ	300	ნული

18. რამდენია კომპანია „ტელეპატის“ მანქანა-დანადგარის გამოყენების ღირებულება 20X3 წლის 30 სექტემბრისათვის?

- ა \$600,000
- ბ \$450,000
- გ \$499,600
- დ ნული



19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ – მიხედვით?

- (1) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად ქმნის ფულად სახსრებს.
- (2) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების განხილვისას, საბალანსო ღირებულებისა და ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლა ერთნაირად არ უნდა ხდებოდეს ერთი პერიოდიდან მეორე პერიოდად, ერთი და იმავე აქტივთა სახეებისათვის.
- (3) თუ შეუძლებელია ერთი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლა, მაშინ უნდა მოხდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლა.

- ა მხოლოდ (1)
- ბ მხოლოდ (2) და (3)
- გ მხოლოდ (3)
- დ მხოლოდ (1) და (3)

20. რამდენია კომპანია „რილდას“ მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულება 20X3 წლის 30 სექტემბრისათვის აქტივებზე გაუფასურების ზარალის განაწილების შემდეგ?

- ა \$2,479,000
- ბ \$2,800,000
- გ \$2,211,000
- დ \$3,500,000

**შემდეგი სცენარი ეხება 21-ე – 25-ე კითხვებს.**

20X3 წლის ივნისში ღირეპტორთა საბჭოს სხდომაზე კომპანია „ნუტრონის“ ღირეპტორებმა გადაწყვეტილება მიიღეს 20X3 წლის 30 სექტემბერს ერთ-ერთი ქარხნის დახურვის, შენობისა და მანქანა-დანადგარების გაყიდვის შესახებ. გადაწყვეტილება გამოქვეყნდა, მის შესახებ აცნობეს ყველა დაინტერესებულ მხარეს და გადაწყვეტილება მთლიანად შესრულდა 20X3 წლის 30 სექტემბრისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანია „ნუტრონის“ ღირეპტორების მიერ მოწოდებული ინფორმაცია:

ქარხნის 250 თანამშრომლიდან, 20X4 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის განმავლობაში 50 თანამშრომელი გადაამზადეს და გადაიყვანეს „ნუტრონის“ ჯგუფის სხვა შვილობილ საწარმოებში, რაშიც დაიხარჯა \$125,000. დანარჩენი თანამშრომლები დათანხმდნენ შემცირებას და თითოეულს საშუალოდ გადაუხადეს \$5,000.

ქარხნის მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულებაა \$2.2 მილიონი, მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი გაიყიდება მხოლოდ \$500,000-ად, გაყიდვის ხარჯები იქნება \$50,000. ქარხნის შენობის გაყიდვიდან მოსალოდნელია \$1.2 მილიონი ოდენობის მოგების მიღება.

კომპანიას იჯარით აღებული აქვს რამდენიმე მანქანა-დანადგარი, რომელთაც 20X3 წლის 30 სექტემბრის შემდეგ საშუალოდ სამი წელი გამოყენების ვადა აქვთ. 20X3 წლის 30 სექტემბერს მომავალი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება \$1 მილიონი იყო, თუმცა, მეიჯარემ განაცხადა, რომ 20X3 წლის 30 ოქტომბრიდან ხელშეკრულების

შესაწყვეტად „ნუტრონმა“ უნდა გადაუხადოს \$850,000 ოდენობის კომპენსაცია.

მომხმარებლებისათვის საქონლის მიწოდების ხელშეკრულებების შეუსრულებლობის გამო, გადასახდელი ჯვარიების თანხა შეფასებულია \$200,000-ად. კომპანია „ნუტრონი“ ვარაუდობს, რომ სადაზღვევო კომპანია ამ თანხის 50%-ს აუნაზღაურებს.

21. ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი უნდა არსებობდეს, რომ ოპერაცია კლასიფიცირებული იყოს, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია?

- (1) ოპერაცია წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს.
  - (2) ოპერაცია არის შვილობილი საწარმო.
  - (3) ოპერაცია გაიყიდა ან გასაყიდად გამიზნულია.
  - (4) წინა პერიოდებში მიღებული ზარალის გამო, მიიჩნევენ, რომ ოპერაცია მომავალში ვერ მიიღებს მოგებას.
- ა მხოლოდ (2) და (4)
- ბ მხოლოდ (3) და (4)
- გ მხოლოდ (1) და (3)
- დ მხოლოდ (1) და (2)

22. ფასს 5 – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – განსაზღვრავს გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების აღიარების კრიტერიუმებს. იმისათვის, რომ აქტივი ან აქტივთა ჯგუფი კლასიფიცირებული იყოს გასაყიდად გამიზნულად, გაყიდვა მაღალი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი უნდა იყოს შესრულებული, რომ გაყიდვა მიჩნეული იყოს მაღალი ალბათობით მოსალოდნელი?

- (1) მყიდველი უნდა იყოს ნაპოვნი.
  - (2) აქტივის გასაყიდი ფასი უნდა იყოს გონივრული.
  - (3) ხელმძღვანელობა მხარს უნდა უჭერდეს აქტივის გაყიდვის გეგმას.
  - (4) აქტივის გაყიდვის დასრულება მოსალოდნელი უნდა იყოს მისი გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების შემდეგ 6 თვეში.
- ა მხოლოდ (2) და (3)
- ბ მხოლოდ (3) და (4)
- გ მხოლოდ (1) და (4)
- დ მხოლოდ (1) და (2)

23. რამდენია თანამშრომლების დანახარჯი, რომელიც უკავშირდება კომპანია „ნუტრონის“ ქარხნის დახურვას და უნდა აისახოს 20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში?

- ა \$125,000
- ბ \$1,250,000

- ბ \$1,125,000  
 დ \$1,000,000
24. რა ოდენობის მოგება ან ზარალი აისახება შეწყვეტილი ოპერაციის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით 20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს?
- ა \$1.75 მილიონი ზარალი  
 ბ \$1.75 მილიონი მოგება  
 გ \$550,000 ზარალი  
 დ \$550,000 მოგება
25. იჯარასა და გადასახდელ ჯარიმებთან დაკავშირებით, რა ოდენობის ანარიცხი უნდა შეიქმნას კომპანია „ნუტრონის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 20X3 წლის 30 სექტემბრისათვის?
- ა \$950,000  
 ბ \$1,200,000  
 გ \$1,050,000  
 დ \$1,100,000

**შემდეგი სცენარი ეხება 26-ე – 30-ე კითხვებს.**

კომპანია „სპეკულეტი“ ამზადებს 20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ქვემოთ მოცემულია განსახილველი საკითხები:

**1. ფინანსური აქტივები**

A კომპანიის აქციები – გრძელვადიანი ინვესტიცია სხვა კომპანიის 10,000 ჩვეულებრივ აქციაში, რომლებიც ნაყიდი იყო 20X2 წლის 1 ოქტომბერს თითოეული \$3.50-ად. გარიგების დანახარჯებმა შეადგინა შესყიდვის ფასის 1%. 20X3 წლის 30 სექტემბერს თითო აქციის რეალური ღირებულებაა \$4.50;

B კომპანიის აქციები – მოკლევადიანი ინვესტიცია სხვა კომპანიის 2,000 ჩვეულებრივ აქციაში, რომლებიც ნაყიდი იყო 20X2 წლის 1 დეკემბერს თითოეული \$2.50-ად. გარიგების დანახარჯებმა შეადგინა შესყიდვის ფასის 1%. 20X3 წლის 30 სექტემბერს თითო აქციის რეალური ღირებულებაა \$3.00.

შემდგომისდაგვარად, კომპანია „სპეკულეტი“ ფინანსური აქტივების ცვლილებას რეალურ ღირებულებაში ასახავს სხვა სრულ შემოსავალში.

**2. დაბეგვრა**

\$2.4 მილიონი ოდენობის მიმდინარე გადასახადის სადებეტო ნაშთი წარმოადგენს 20X2 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის საგადასახადო ვალდებულების ანარიცხის შეფასების მეტობას/ნაკლებობას. 20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგების გადასახადი ანარიცხი შეფასებულია \$28 მილიონად. გადავადებული გადასახადის არსებული საკრედიტო ნაშთია \$2.5 მილიონი და 20X3 წლის 30 სექტემბრის საჭირო ანარიცხი შეადგენს \$4.4 მილიონს.

**3. ამონაგები**

20X2 წლის 1 ოქტომბერს კომპანია „სპეკულეტმა“ \$10 მილიონად გაყიდა საქონელი. ხელშეკრულების თანახმად, „სპეკულეტი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაყიდული

საქონელი ტექნიკური მომსახურებით 20X5 წლის 30 სექტემბრამდე (ანუ გაყიდვის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში). ტექნიკური მომსახურების გაყიდვის ღირებულება ჩართულია \$10 მილიონი ოდენობის გასაყიდ ფასში. მომსახურების შეფასებული ღირებულებაა წლიური \$600,000 და ამ სახის მომსახურებას „სპეკულეტი“ აწესებს საერთო მარჟას 25%-ის ოდენობით. უგულებელყავით დისკონტირება.

26. ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი აკმაყოფილებს ფინანსური აქტივის განმარტებას?

- (1) სხვა კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტი.
- (2) სახელშეკრულებო უფლება, პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური ინსტრუმენტები.
- (3) სახელშეკრულებო უფლება, პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური ინსტრუმენტები.
- (4) ფულადი სახსრები.

ა მხოლოდ (1) და (2)

ბ მხოლოდ (1), (2) და (4)

გ მხოლოდ (1), (3) და (4)

დ მხოლოდ (4)

27. კომპანია „სპეკულეტის“ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რა თანხა აისახება სხვა სრულ შემოსავალში 20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს?

ა \$9,650

ბ \$10,650

გ \$10,000

დ ნული

28. რა ოდენობის მთლიანი მოგების გადასახადის ხარჯი აისახება 20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში?

ა \$28,000,000

ბ \$30,400,000

გ \$32,300,000

დ \$29,900,000

29. საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რა ოდენობის გადავადებული შემოსავალი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 20X3 წლის 30 სექტემბერს?

ა \$1.2 მილიონი

ბ \$1.6 მილიონი

გ \$600,000

დ \$1.5 მილიონი

**30. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი 20X3 წლის 30 სექტემბერს გადავადებულ შემოსავალთან დაკავშირებით?**

- (1) 20X3 წლის 30 სექტემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებული შემოსავალი თანაბრად განაწილდება მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებს შორის.
- (2) დანახარჯი, რომელიც უკავშირდება გადავადებულ შემოსავალს, უნდა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც აისახება ამონაგები.
- (3) „სპეკულეტს“ შეუძლია გადავადებული შემოსავლი ამონაგების სახით ასახოს, მხოლოდ მომხმარებელთან ხელმოწერილი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.
- (4) მომსახურების ხელშეკრულების ამონაგების აღიარებისას, შესრულების სტადიას მნიშვნელობა არა აქვს.

- ა მხოლოდ (1) და (2)
- ბ მხოლოდ (3) და (4)
- გ მხოლოდ (2) და (3)
- დ მხოლოდ (1) და (4)

**ნაწილი ბ – სავარჯიშო კითხვები**

**1. „ქენდი“**

ქვემოთ მოცემულია „ქენდის“ საცდელი ბალანსი 20X5 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, რომელიც მომზადებულია 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგების პროექტის მომზადებისა და მოცემული წლის მოგების გაუნაწილებელ მოგებაზე გადატანის შემდეგ:

	\$000	\$000
\$1-იანი ჩვეულებრივი აქციები		20,000
გაუნაწილებელი მოგება 20X5 წლის 30 სექტემბრისათვის		15,500
ფულადი სახსრები, მიღებული 6%-იანი სავალო ვალდებულების გამოშვებიდან		30,000
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით (შენიშვნა (1))	20,000	
მიწა (5 მლნ) და შენობები – თვითღირებულებით (შენიშვნა (2))	35,000	
მანქანა-დანადგარები – თვითღირებულებით (შენიშვნა (2))	58,500	
დაგროვილი ცვეთა 20X4 წ. 1 ოქტომბრისათვის – შენობები		20,000
– მანქანა-დანადგარები		34,500
მიმდინარე აქტივები	68,700	
მიმდინარე ვალდებულებები		43,400
გადავადებული გადასახადი (შენიშვნა (2) და (3))		2,500
გადახდილი პროცენტი (შენიშვნა (1))	1,800	
მიმდინარე გადასახადი (შენიშვნა (3))		1,100
დამხმარე ანგარიში (შენიშვნა (2))		17,000
	184,000	184,000

ცნობილია შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

1) 20X4 წლის 1 ოქტომბერს განხორციელდა სავალო ვალდებულებების ემისია. \$1 მილიონი საემისიო დანახარჯები აისახა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. 20X5 წლის 30 სექტემბერს გადაიხადეს \$1.8 მილიონი ოდენობის პროცენტი (\$30 მილიონის 6%). სავალო ვალდებულებების გამოსყიდვა მოხდება 20X9 წლის 30 სექტემბერს მნიშვნელოვანი პრემიის გადახდის პირობით, რომლის შედეგად ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური 9%. 20X9 წლის 30 სექტემბრამდე სხვა თანხები გადახდილი არ იქნება.

2) გრძელვადიანი აქტივები:

20X4 წლის 1 ოქტომბერს „ქენდის“ ჰქონდა ორი საინვესტიციო ქონება. პირველი ქონების საბალანსო ღირებულება \$15 მილიონი იყო და 20X4 წლის 1 დეკემბერს გაიყიდა \$17 მილიონად. გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები აისახა დამხმარე ანგარიშის კრედიტში (იხ. ზემომოცემულ საცდელ ბალანსში). 20X4 წლის 31 დეკემბერს მეორე შენობის კლასიფიკაცია შეიცვალა და გახდა მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება და გადატანილ იქნა მიწა და შენობების ანგარიშზე \$6 მილიონი ოდენობის რეალური ღირებულებით. 20X4 წლის 31 დეკემბერს მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა იყო 20 წელი. უგულებელყავით გადავადებული გადასახადი.

ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ქონების ფასები და 20X4 წლის 1 ოქტომბერს ღირებულებებმა გადაწყვიტეს მიწა და შენობების გადაფასება. ღირებულებებმა დაამტკიცეს დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში, რომელმაც აღნიშნული თარიღისათვის მიწა \$8 მილიონად, ხოლო შენობები \$39 მილიონად შეაფასა. 20X4 წლის 1 ოქტომბერს შენობების დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა 15 წელი იყო. „ქენდის“ გადაფასებულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ცვეთის ნამეტი თანხა არ გადააქვს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე. შემოსულობა ქონების გადაფასებიდან გამოიწვევს გადავადებული გადასახადის ვალდებულების წარმოქმნას. „ქენდის“ მოგების გადასახადის განაკვეთია 20%.

მანქანა-დანადგარებს ცვეთა ერიცხება წლიური 12.5%-იანი ნორმით, შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

20X5 წლის 30 სექტემბერს ცვეთა დარიცხული არ იყო.

3) 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებულ წელს საჭიროა \$2.4 მილიონი ოდენობის მოგების გადასახადის ანარიცხი. საცდელ ბალანსში მიმდინარე გადასახადის ნაშთი წარმოადგენს წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ანარიცხის მეტობას/ნაკლებობას. გარდა მე-2 შენიშვნაში მოცემული ინფორმაციის დროებითი სხვაობების შესახებ, „ქენდის“ 20X5 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით აქვს \$10 მილიონი ოდენობის დამატებითი დასაბეგრი დროებითი სხვაობები.

მოგეთხოვებათ:

ა) მოამზადოთ „ქენდის“ გაუნაწილებელი მოგების შეჯერების ცხრილი 20X5 წ. 30 სექტემბრის მდგომარეობით, შენიშვნა (1)-(3) პუნქტებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე; (8 ქულა)

ბ) მოამზადოთ „ქენდის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 20X5 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით; (3 ქულა)

გ) მოამზადოთ „ქენდის“ 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ამონარიდი, კერძოდ ფულადი ნაკადები საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან, რომელიც ეხება ძირითად საშუალებებს. (3 ქულა)

(სულ: 20 ქულა)

## 2. „რეაქტივი“

„რეაქტივი“ არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული საწარმო, რომელიც აწყობს საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელს და შემდეგ ბითუმად და საცალოდ ყიდის მოვაჭრე კომპანიებზე. „რეაქტივის“ მენეჯერები იმედგაცრუებულნი დარჩნენ 2005 წ. 31 მარტს დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის შედეგებით. შედეგების გასაუმჯობესებლად 2006 წ. 31 მარტს დასრულებული წლის დასაწყისშივე კომპანიამ შემდეგი ზომები გაატარა:

- წამოიწყეს სარეკლამო კამპანია ქვეყნის მასშტაბით;
- ყველა ბითუმად მოვაჭრე კლიენტისთვის დაწესდა ფასდათმობა გარკვეული ოდენობის საქონლის ყიდვაზე;
- შეწყვიტეს გარკვეული სახეობის პროდუქციის აწყობა; მის ნაცვლად დაიწყეს მზა პროდუქციის შექმნა, რის გამოც „რეაქტივმა“ გაყიდა ზედმეტი მანქანა-დანადგარი.

ქვემოთ მოცემულია „რეაქტივის“ 2006 წ. 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება:

<b>მოგებისა და ზარალის ანგარიშგება</b>		\$მლნ	
ამონაგები (25% ნაღდ ფულზე გაყიდვები)		4,000	
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(3,450)	
საერთო მოგება		550	
საოპერაციო ხარჯები		(370)	
		180	
მანქანა-დანადგარის გაყიდვიდან მიღებული მოგება (შენიშვნა 1)		40	
ფინანსური დანახარჯები		(20)	
მოგება დაბეგვრამდე		200	
მოგების გადასახადის ხარჯი		(50)	
მოცემული პერიოდის მოგება		150	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	\$მლნ	\$მლნ	
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 1)			550
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	250		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	360		
ბანკი	0		610
სულ აქტივები			1,160
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:			
25-ცენტიანი ჩვეულებრივი აქციები			100
გაუნაწილებელი მოგება			380
			480
გრძელვადიანი ვალდებულებები			
8%-იანი სავალო ვალდებულებები			200
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტი	10		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	430		

გადასახდელი მიმდინარე გადასახადი	40	480
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>1,160</u>

ქვემოთ მოცემულია 2005 წ. 31 მარტს დასრულებული წლისთვის გამოთვლილი კოეფიციენტები:

გამოყენებული კაპიტალის უკუგება წლის ბოლოს (მოგება პროცენტისა და გადასახადის გადანდამდე, შეფარდებული მთლიან აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები)	28.1%
წმინდა აქტივების (გამოყენებული კაპიტალის ტოლი) ბრუნვის კოეფიციენტი	4 ჯერ
საერთო მოგების მარჟა	17%
წმინდა მოგების (დაბეგვრამდელი) მარჟა	6.3%
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.6:1
საბოლოო მარაგის ფლობის პერიოდი	46 დღე
სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი	45 დღე
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი	55 დღე
დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტი	3.75%
დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი	2 ჯერ

**შენიშვნები:**

- 1) „რეაქტივმა“ \$120 მლნ მიიღო მანქანა-დანადგარის გაყიდვიდან, რომლის საბალანსო ღირებულება გაყიდვის თარიღისთვის იყო \$80 მლნ;
- 2) „რეაქტივის“ თითო აქციის საშუალო წლიური საბაზრო ფასი იყო თითო \$3.75;
- 3) წლის მანძილზე კომპანიას არც გამოუშვია და არც გამოუსყიდია აქციები და სავალო ვალდებულებები;
- 4) 2006 წ. 31 მარტს დასრულებულ წელს გაცემული იყო \$90 მლნ-ის დივიდენდები, რათა შენარჩუნებულიყო 2005 წ. 31 მარტს დასრულებულ წელს გაცემული დივიდენდების ოდენობა.

**მოგეთხოვებათ:**

- ა) გამოითვალოთ „რეაქტივისთვის“ ზემოთ მოცემული კოეფიციენტების ეკვივალენტური კოეფიციენტები 2006 წ. 31 მარტს დასრულებული წლისთვის და აჩვენოთ გაანგარიშებები; (10 ქულა)
- ბ) გაანალიზოთ „რეაქტივის“ 2006 წ. 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური შედეგები და მდგომარეობა წინა წელთან შედარებით. (10 ქულა)

(სულ: 20 ქულა)